აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 29

08 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი მამუკა ჯაში.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების", ,,სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის", პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;

(თ. შარმანაშვილი)

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და გამოყენების წესის შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 ნოემბრის №93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(მომხ თ. შარმანაშვილი.)

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტით პარტიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გასატარებლად განცხადებასთან ერთად, უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება, ასევე აღნიშნა, რომ იმ პარტიებმა, რომლებიც არ მონაწილეობდნენ უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში და გადაწყვეტენ მონაწილეობის მიღებას 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ არჩევნებში მონაწილეობას და რეგისტრაცია არ აქვს გავლილი ცესკოში და არ მონაწილეობდნენ უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში, ასეთმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არჩევნებამდე არაუგვიანეს 35-ე

დღისა უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3000 მხადამჭერთა ხელმოწერები. ასევე აღნიშნა, რომ რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტისათვის რიგითი ნომრის მინიჭებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებში მონაწილე ასეთ საარჩევნო სუბიექტს მიენიჭება ის რიგითი ნომერი, რომლითაც იგი მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში. ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით რიგითი ნომრის განსაზღვრისას, საარჩევნო სუბიექტს არ მიენიჭება ის რიგითი ნომერი, რომლითაც საარჩევნო სუბიექტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში უკვე მონაწილეობდნენ.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. პარტიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გასატარებლად განცხადებასთან ერთად, უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება, ასეთმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის

მისაღებად არჩევნებამდე არაუგვიანეს 35-ე დღისა (2008 წლის 9 ნოემბერი) უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3000 მხადამჭერთა ხელმოწერები. გარდა იმ პარტიებისა, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და/ან რეგისტრაცია გაიარა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აჭარის ავტონომიური პესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის.

მუხლი 2. თუ არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საარჩევნო სუბიექტი არ მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით სხვა ნომრის მინიჭების თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებში მონაწილე ასეთ საარჩევნო სუბიექტს მიენიჭება ის რიგითი ნომერი, რომლითაც იგი მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში.

მუხლი 3. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით რიგითი ნომრის განსაზღვრისას, საარჩევნო სუბიექტს არ მიენიჭება ის რიგითი ნომერი, რომლითაც საარჩევნო სუბიექტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში უკვე მონაწილეობდნენ.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და გამოყენების წესის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და გამოყენების წესის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის მიღებული იქნა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 08 სექტემბრის №6 დადგენილება, რომლის

მიხედვითაც რეგულირდებოდა აღნიშნული საკითხი. 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნებისათვის წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამებისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა და იმ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, რომელთა სათაო ოფისი განლაგებულია აჭარის არ ტერიტორიაზე, საჯაროდ უნდა გამოაცხადონ და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წინასწარ უნდა წარადგინონ ინფორმაცია უსკოს მიერ 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული ფორმების მიხედვით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-14, 14^1 და მე-15 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, იმ მაუწყებლებმა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, რომელთა სათაო ოფისებიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჯაროდ გამოაცხადონ და უმაღლეს საარჩევნო კომისიაში (რეგიონალურმა ტელერადიომაუწყებლობებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში) წინასწარ წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია: საარჩევნო სუბიექტებისათვის რომელი

რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი, გაწეული მომსახურება არაუგვიანეს ყოველი კვირის ორშაბათის 18 სთ-სა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული წარმოსადგენი ფორმების მიხედვით.

მუხლი 2. წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში გაზეთებმა, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გარდა პოლიტიკური პარტიების გაზეთებისა, იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წინასწარ წარმოადგინონ ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობითა და რა დრომდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი, გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე, უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე, ფართობის ტარიფი, გაწეული მომსახურება ყოველკვირეულად, არაუგვიანეს ყოველი კვირის ორშაბათის 18 სთ-სა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული წარმოსადგენი ფორმების მიხედვით.

მუხლი 3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 ნოემბრის №93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 ნოემბრის №93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ განკარგულებაში დაშვებული იქნა ტექნიკური ხასითის შეცდომა. მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე კომისიის სხდომაზე აღნიშნული იქნა. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი

მაჟორიტარული არჩევნებისათვის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებს დაევალებათ, №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი პროპორციული კენჭისყრის ჩატარებაც.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 ნოემბრის №93 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებს ევალებათ, №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი პროპორციული კენჭისყრის ჩატარება.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის გამოყენებული იქნება 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მსგავსად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული შტამპი „არჩევნებიდან მოხსნილია“, საუბნო საარჩევნო კომისიისა და რეგისტრატორთა ბეჭდები, რომლებიც გამოთხოვილი იქნება საოლქო საარჩევნო კომისიებიდან, გადაითვლება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების მიერ, დაილუქება და კვლავ გადაეგზავნება ოლქებს.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია